მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
შპს "ჯორჯია მეტალის"
მეტალურგიული საწარმოს სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

20 მაისი, 2020

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე 2020 წლის 28 აპრილს გამოქვეყნებულ შპს "ჯორჯია მეტალის" მეტალურგიული საწარმოს სკოპინგის ანგარიშზე.

ანგარიშის თანახმად, შპს „ჯორჯია მეტალი" ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთის ტერიტორიაზე გეგმავს მეტალურგიული საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას; დაგეგმილია რკინის ჯართის გამოსადნობი ღუმელების დამონტაჟება და სხვადასხვა კვეთის არმატურის წარმოება.

ადმინისტრაციული წარმოება

სკოპინგის ანგარიშის თავდაპირველი ვერსია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე 2019 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი ვადების თანახმად, სკოპინგის გადაწყვეტილება სამინისტროს 3-დან 7 თებერვლის შუალედში უნდა მიეღო. ნაცვლად ამისა, 2020 წლის 19 თებერვალს სამინისტრომ გამოაქვეყნა თავის 13 თებერვლის წერილი, რომლითაც კომპანიას შეატყობინა წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებებისა და დოკუმენტის მიმართ დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისა და მწვანე ალტერნატივას მიერ წარდგენილი შენიშვნების შესახებ და შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. კომპანიას დაევალა სამინისტროს, ადგილობრივი მოსახლეებისა და მწვანე ალტერნატივას შენიშვნების განხილვა და განახლებული სკოპინგის ანგარიშის მომზადება. სწორედ სამინისტროს ზემოაღნიშნული მითითების საფუძველზეა მომზადებულია ამჟამად განსახილველად გამოქვეყნებული დოკუმენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილვის პროცესი სრულიად აცდენილია გარემოსდაცვითი კოდექსით დადგენილ პროცედურას. ფაქტიურად, სამინისტრო კვლავ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" ძალადაკარგული კანონით დადგენილი პროცედურით ხელმძღვანელობს და არათუ აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილ დოკუმენტაციაზე, არამედ კარნახობს კომპანიას როგორ 'დახვეწოს' დოკუმენტი, რომ მასზე შესაძლებელი იყოს დადებითი გადაწყვტილების მიღება - რაც სრულიად აჭარბებს სამინისტროს უფლებამოსილებას და კანონის მნიშვნელოვანი დარღვევაა.

ალტერნატივების ანალიზი

სკოპინგის ანგარიში მოიცავს ქვეთავს სახელწოდებით „ნულოვანი ალტერნატივა", თუმცა შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. უმოქმედობის ალტერნატივა უნდა გულისხმობდეს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას და არა პროექტის განხორცილების შედეგად მიღებულ სარგებელს, როგორც ეს ანგარიშშია განხილული.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ნაცვლად ამისა წარმოდგენილია უკვე შერჩეული ტერიტორიის აღწერა. თუმცა, ანგარიშის 10.2 ქვეთავში რომელსაც მაინც „საწარმოს განთავსების ალტერნატივა“ ჰქვია, აღნიშნულია, რომ ადგილმდებარეობის ალტერნატივები განხილული იქნა ადრეულ ეტაპზევე, სანამ ინვესტორის მიერ საქმიანობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა მოხდებოდა. როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, მიწის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები: 1. მიწის კატეგორია; 2. მდებარეობა (ზონა); 3. დასახლებულ პუნქტთან დაშორება; 4. არსებული ინფრასტრუქტურა. რეალურად არცერთი ალტერნატივის განხილვისას არ არის ნაჩვენები რამდენია თითოეულის შემთხვევაში დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან. საბოლოო ჯამში, არჩეულ იქნა ტერიტორია, სადაც საწარმოო ტერიტორიასა და მოსახლეობას შორის დაშორება მხოლოდ 40 მეტრია.

არსებული საწარმოო ტერიტორიის შემთხვევაში „ტერიტორიაზე შედის ასფალტით დაფარული გზა, მიმდებარედ შემოდის სარკინიგზო ჩიხი, განთავსებულია ენერგო პრო ჯორჯიას ელ. მომარაგების ქვესადგური. ტერიტორია მოსახერხებელია სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის. მისაწვდომია (მოწყობილია ან ახლოსაა) საჭირო ინფრასტრუქტურა“. დანარჩენი ორი ალტერნატივის შემთხვევაში ინვესტორს დამატებითი თანხების გაღება მოუწევდა გზის და სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ამიტომ არჩეულ იქნა ალტერნატივა, რომელიც გულისხმოს საწარმოს განთავსებას მოსახლეობასთან სიახლოვეს.

ქვეთავი ნათლად აჩვენებს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით. მესამე ალტერნატიული ვარიანტი შერჩეულ იქნა ინვესტორის სასარგებლოდ და საერთოდ უგულებელყოფილ იქნა მოსახლეობასთან დაშორების საკითხი.

ანგარიში უნდა მოიცავდეს ადგილმდებარეობის რეალურ ალტერნატივებს.

შემარბილებელი ღონისძიებები

1. სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. ანგარიში ასეთ ინფორმაციას არ მოიცავს.

2. დოკუმენტის სხვადასხვა ქვეთავში ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას ვხვდებით. ანგარიშის 11.11 ქვეთავის მიხედვით, <u>სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების პირობებში,</u> ჯამური ეფექტის დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციები უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე არ გასცდება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს (გვ. 70). მე-12 ქვეთავში კი ვკითხულობთ „გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების განხილვამ აჩვენა, რომ ზოგიერთი სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და ამდენად <u>არ არსებობს შემარბილებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა“.</u>

საბოლოოდ გაუგებარია გეგმავს თუ არა კომპანია შემარბილებელი ღონისძიებების მომზადებას.

საწარმოს წყალმომარაგება

მწვანე ალტერნატივას მიერ საწყის დოკუმენტზე წარდგენილი შენიშვნების ერთი ნაწილი საწარმოს მიერ წყლის მოხმარებას უკავშირდებოდა. კერძოდ, საწარმოს მშენებლობა - ექსპლუატაციის ეტაპზე საჭირო ტექნიკური თუ სასმელ-სამეურნეო წყლის მომარაგება მოხდება მიწისქვეშა წყლებიდან, რისთვისაც მოეწყობა საჭირო რაოდენობის ჭები.

შენიშვნაში აღნიშნული იყო, რომ სოფელ არგვეთის მოსახლეობის ერთ-ერთი პრობლემა წყალს უკავშირდება. მოსახლეობა სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოსაყენებელ წყალს სწორედ ჭებიდან იღებს. ბოლო წლებში, განსაკუთრებით გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე, ადგილობრივები მუდმივად უჩივიან ჭაში წყლის დონის კლებას, რის გამოც ისინი ხშირ შემთხვევაში სასმელი წყლის გარეშე რჩებიან. ამ ფაქტს, მოსახლეობა, სოფლის ტერიტორიაზე საწარმოების მიერ ახალი ჭების მოწყობას და მათ მიერ წყლის ჭარბად

მოხმარებას უკავშირებს. აქედან გამომდინარე, მოვითხოვეთ კომპანიას დეტალურად შეესწავლა დამატებით ახალი ჭების მოწყობის შემთხვევაში გრუნტის წყლებზე ზემოქმედების საკითხი.

როგორც სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, შპს ჯორჯია მეტალმა დაიქირავა ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც მოამზადეს შპს „ჯორჯია მეტალის“ საპროექტო საწარმოს წყალმომარაგების მოსალოდნელი გავლენის შეფასება სოფ. არგვეთის ტერიტორიაზე არსებულ საყოფაცხოვრებო ჭებზე. ჰიდროლოგიური დასკვნა წარმოდგენილია სკოპინგის ანგარიშში რაც მისასალმებელია. თუმცა, როგორც ანგარიშის, ასევე ჩვენი შენიშვნებზე გაცემული პასუხის წაკითხვის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სოფ. არგვეთის მოსახლეობის პრობლემა, ჭებში წყლის დაშრობის თაობაზე თითქოს მწვანე ალტერნატივამ მოიგონა და ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება კომპანიას ტყუილად მოუხდა. როგორც ანგარიშშია აღწერილი, საველე კვლევის დროს გამოიკითხა სოფ. არგვეთის მოსახლება. დასკვნის ერთ-ერთი ნაწილის მიხედვით, კი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სოფლის მაცხოვრებლები უჩივიან ზაფხულში წყლის დაშრობას რეალობას არ შეესაბამება.

გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ 2020 წლის 21 იანვარს საველე გასვლის დროს მოსახლეობის ნაწილმა დააფიქსირა, რომ მათ ზაფხულის ცხელ დღეებში ჭები უშრებათ. ზოგიერთი მათგანთან წყლის დონე საგრძნობლად იკლებს, ზოგან კი დღეების განმავლობაში უწყლოდ რჩებიან.

უკანონო მშენებლობა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია არც გარემოსდაცვითი და არც მშენებლობის ნებართვა უკვე დაწყებული აქვს საწარმოს მშენებლობა. ამა წლის, მარტის თვეში დახმარების თხოვნით მოგვმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ არგვეთის მოსახლეობამ. ადგილობრივ მაცხოვრებლთა განმარტებით, სოფელ არგვეთაში დაწყებულია შპს ჯორჯია მეტალის მეტალურგიული საწარმოს მშენებლობა.

სოფ. არგვეთის მაცხოვრებლებმა და მწვანე ალტერნატივამ გარემოზე ზედამხედველობის ცხელ ხაზზე არაერთხელ დააფიქსირა საჩივარი. ასევე, 2020 წლის 19 მარტს, მწვანე ალტერნატივამ წერილობით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. წერილის პასუხად მივიღეთ განმარტება, რომ საწარმოს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით განსახილველად გადაგზავნა სასამართლოს. მიუხედავად ამ ყველაფერისა, როგორც მოსახლეობა გვატყობინებს საწარმოს მშენებლობა მაინც გრძელდება.

შპს „ჯორჯია მეტალი“ უგულებელყოფს მოსახლეობის ინტერესებს და ასევე უხეშად არღვევს კანონს. ამიტომ, გარდა ამ დოკუმენტით წარმოდეგნილი შენიშვნებისა, გთხოვთ, შეისწავლოთ, საპროექტო არეალში უკვე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების კანონიერება და მიიღოთ შესაბამისი ზომები კანონდარღვევის აღსაკვეთად.

საჯარო განხილვა

2020 წლის 24 მარტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების საჯარო განხილვების გადადებაზე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმებამდე - რაც სრულიად ლოგიკური და სათანადო გადაწყვეტილება იყო არსებულ სიტუაციაში. თუმცა, რამდენიმე დღეში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმად „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით“. ამასთანავე, განცხადების თანახმად, „საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არ ჩერდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა შეუფერხებლად გაგრძელდეს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” საფუძველზე სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები“. განაცხადების თანახმად, ამ გარემოებების გათვალისწინებით, შპს “ჯორჯია მეტალის” მეტალურგიული საწარმოს პროექტის

სკოპინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. ვიმედოვნებთ, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელად მისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნებით არ ხდება დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება. ამდენად, საჯარო განხილვის გაუქმებით სამინისტრო ზღუდავს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე მოქალაქეების უფლებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც.

გარდა ამისა, 2020 წლის 21 იანვარს სოფელ ქვედა საქარის საბჭოს შენობაში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვამდე მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები იმყოფებოდნენ სოფელ არგვეთაში. როგორც მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობდა. მას შემდეგ, რაც მათ დაგეგმილი განხილვის შესახებ შეიტყვეს, შეხვედრაზე დასწრების სურვილი გამოთქვეს, თუმცა იმის გამო, რომ განხილვა ტარდებოდა სოფ. ქვედა საქარაში, მათ წასვლა ფიზიკურად ვერ შეძლეს. ამის თაობაზე, ადგილობრივებმა წერილობითაც მიმართეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მოსახლეობას არც 2020 წლის 21 იანვარს და არც ახლა არ ეძლევა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ამასთან გაუგებარია, რა კავშირი აქვს განსახილველ პროექტს ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებასთან და რაში მდგომარეობს ის გადაუდებელი აუცილებლობა, რომლის გათვალისწინებით გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების უგულებელყოფით უნდა იქნას მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად უსარგებლოა სამინისტროს ამავე განცხადებასთან ერთად, თითქოსდა, საჯარო განხილვების გაუქმების საკომპენსაციოდ გამოქვეყნებული პრეზენტაცია. გაუგებარია, რაში მდგომარეობს დოკუმენტის დანიშნულება და დამატებითი ღირებულება.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ განხილვის პროცესში დაშვებული კანონდარღვევები, კომპანიის მიერ კანონდარღვევით დაწყებული მშენებლობა და განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის ხარისხი საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.